



సాక్షారతవ్యేణులు గ్రంథమైనులు - డ్యూమియాలార్టిస్టులు పాఠాలు  
అంబులుగా శిర్ఫాతా సాచిద్వారగార్యాత్మేళి దినులు.

## సాక్షారతవ్యేణు

డ १

మాన్యమాన్య - భాషామాన్యాలు పాఠాలు

(శ్రీరామా మేఖలు)

సాక్షారతవ్యేణులు పాఠాలు

— — —

సాక్షారతవ్యేణు

1934

## ხ ა ქ ა რ თ ვ გ ლ ი

225

გრიგორი - დამიტრაშვილი პარტია.

---

სოციალისტური მოძღვრება მოედო მთელს მსოფლიოს. უნებლიერ გავლენება ისტორია ქრისტიანობის გავრცელებისა. ქრისტე პლატადებდა: «მოდით ჩემთან მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენო და მე გიხსნით თქვენაო». სოციალიზმიც ამას პლატადებს, მხოლოდ იმგანსხვავებით, რომ ქრისტე პპირდებოდა სამოთხეს ცაში, სოციალიზმი კი გვპირდება ამ სამოთხეს აქვე, ამ მიწიერ ცხოვრებაში. რა გასაყვირია, თუ ამ მოძღვრებას მიაწყდა ყველა «მაშვრალნი და ტვირთმძიმენი».

ჩემი ხმა საქმარისად სუსტია, რომ გაუბნიოს ეისმე ილიუზიები. ამიტომ შემძლია გამოვსთქვა ჩემი აზრი. შევეხები მხოლოდ ძირითად პრინციპებს და ისიც ზოგად ჩახებში.

\* \* \*

იდეოლოგიური საფუძველი სოციალიზმისა, არის მატერიალისტური მსოფლმხედველობა.

მატერია არის მიწა, წყალი, ჰაერი — ყველაფერი. რასაც კი აქვს რაიმე სიმძიმე, რაიმე წონა. ქვეყნის მხედვება შესდგება მატერიისაგან, ამბობენ სოციალისტები, და მაშასადამე მატე-



რიაში უნდა ვეძიოთ ახსნაც ყოველი მოვლენისა. ადამიანი გამონაკლისი არ არის, ისიც შესდგება მატერიისაგან. იმას უნდა სმა-ჭამა, ჩატარება, სითბო, თავშესაფარი და სხ. ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საკიროა მუშაობა, ე. ი. დამუშავება, გარდაქმნა, გადაკეთება მატერიისა. ამ მუშაობაში ჩაბმულია მთელი კაცობრიობა. ფორმა და ხასიათი მუშაობისა სხვადასხვაა სხვადასხვა დროს და სრვადასხვა მხარეში. მაგრამ ყოველგან იგი პქმნის შესაფერ ეკონომიურ განწყობილებას. სოციალური ცხოვრება აშენებულია ამ ნიადაგზე და მის განვითარებაზე დამკიდებულია თვით სოციალურ ცხოვრების განვითარება. ეკონომიური მატერიალიზმი ამოძრავებს ხალხს და პქმნის ისტორიას.

ჩვენის აზრით, ეს შეხედულება ცალმხრივია და გადაჭარბებული. მართალია, ქვეყანა შესდგება მატერიისაგან, მაგრამ ამით მისი შინაარსი არ ამოიწურება. არის კიდევ სხვა ძალაც, უხილავი და აუწონარი, რომელიც არა ნაკლებ პმოქმედობს ცხოვრებაში და აძლევს მას მიმართულებას. ასეთია რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება, პოეზია, —საზოგადოთ ყოველი იდეა ან სისტემა იდეათა, განსაკუთრებით კი იდეა თავისუფლების, რომელიც აღელვებს ხალხს და პქმნის ისტორიას.

როგორ? გაიკვირვებს ზოგი. განა სოციალისტები უარს ჰყოფენ მეცნიერებას და ხელოვნებას? განა...

საქმეც ამაშია. რასაკვირველია, ისინი უარს არ ჰყოფენ მეცნიერებას და ხელოვნებას, მაგრამ... დროებას კი ჰყოფენ ორ ნაწილად: ერთია—წარსული, მეორეა—მომავალი. ეკონომიური მატერიალიზმი იმათ უნდათ მხოლოდ წარსულის ასახსნელად, ხოლო რაც შეეხება მომავალს, აქ ისინი უფრო იდეალისტები არიან, ვიდრე ჩვენ, ვინაიდან სწორედ იდეით—

სიტყვით, წერით, ქაღაგებით—ცდილობენ ქვეყნის გადა-  
 ბრუნებას. გამოდის, რაც დიდი ძალა ყოფილა მომავლი-  
 სათვის, იმას მნიშვნელობა არ ჰქონია წარსულში, და რაც  
 წარსულში ყოფილა დიდი ძალა, მას დაპყარევია მნიშვნე-  
 ლობა მომავლისათვის. ეს წინააღმდეგობა პრჩება შეურიგე-  
 ბელი.

ჩვენ თანასწორად ვიზიარებთ ორივე მსოფლ-მხედველო-  
 ბას, მატერიალიზმს და იდეალიზმს. ორ სკამწე ვწიგართ?  
 არა: მატერია—ფაქტია, ფაქტია იდეაც. ერთი ასაწონარი, მე-  
 ორე აუწონარი, ორივე არის რეალობა, ამიტომ ჩვენი პრო-  
 გრამა და პოლიტიკა არის რეალისტური ე. ი. ემყარება არა  
 ფანტაზიას, არამედ იმას, რაც მოცემულია სინამდვილეში და  
 რაც შეიძლება განხორციელდეს არსებულ პირობებში. იდე-  
 ალოგიურ საფუძვლად მას უდევს სინტეზი ამ ორი მსოფლ-  
 მხედველობისა, ერთი იძლევა მის საბოლოო დასკვნაში კე-  
 რძო საკუთრებას, მეორე—პიროვნულ თავისუფლებას.

• • •

მატერიალიზმი თანდაყოლილი ცოდვაა სოციალიზმის,  
 მან თავისი დალი დასვა მთელს დოქტრინას.

ეს დოქტრინა აგებულია სრულებით მარტივ და გასაგებ  
 აზრზე. ქვეყანა შესდგება მატერიისაგან; რომ ამ მატერიას  
 მიეცეს ეკონომიკური ფასი, საჭიროა მუშაობა. ამ მუშაობას  
 აწარმოებს მუშა, იგი ხნავს, სთესავს, სჭრის ხეს, პუედს რკი-  
 ნას, აშენებს სახლს, გადააქვს სიმძიმე... ერთის სიტყვით, ის  
 ატრიალებს მატერიას მის სხვადასხვა ფორმაში და თავის ჯა-  
 ნით, თავისი ფიზიკური ენერგიის დახარჯეოთ, ჰქმნის ეკონო-  
 მიურ ლირებულებას, ჰქმნის სიმღიღრეს. მიუხედავათ ამისა,

ყველაზე უფრო დახაგრული და ღაბეჩავებული არის მუშა. მთელი მისგან შექმნილი სიმდიდრე გადადის სხვის ხელში, მუშაკი რჩება მშიერ მწყურვალი. სად არის გამოსავალი ამ საშინელ მდგრამარეობიდან? გამოსავალი ერთია: მუშები ყველა ქვეყნისა უნდა შეერთდენ. შეებრძოლონ იმ კლასს, რომლის ხელში მოვროვილია ეს, მისგან შექმნილი სიმდიდრე, ჩამოართვან იყი, მეტე თვითონ უნდა აიღონ ხელში სრული მართვა-გამგეობა და მოაწყონ ცხოვრება ისე, რომ ამისთანა ჩაგვრას და უსამართლობას უკვე ადგილი არ ჰქონდეს. აქედან —აუცილებლობა კლასთა ბრძოლის და დიქტატურისა.

როგორც პხედავთ, კლასთა ბრძოლას და პროლეტარიატის დიქტატურას საფუძვლად უდევს ერთი მარტივი აზრი, ეს ის-რომ ვითომდა ერთად ერთი შემომქმედი მატერიალური ლირებულების არის მუშა. მისი ჯანი, მისი ფიზიკური ენერგია

სწორია ეს აზრი?

მართალია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ეინც გა-აკეთა პირველი ურემო, ან ვინც წყალში ჩაუშეა პირველი ნავი, მაგრამ განა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ეინც თავში პირველად დაიბადა იდეა ურმის ან ნაერისა? იდეა წინ მიუძლვის მოქმედებას.

ესლა არ მოიპოვება არც ერთი დარგი მრეწველობისა, სადაც რომ არ ტრიალებდეს მანქანა, დიდი და პატარა, სხვა-დასხვა ფორმის და დანიშნულების. ზოგი წარმოადგენს ათასს და ათი ათას ცხენის ძალას. რაა მასთან შედარებით ადამიანის ჯანი და ლონე? ზოგი აკეთებს ისეთ საგნებს, ისე ბლო-მად და ისე სწრაფად, რომ ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, თუ რა პროცენტი მოუწევს მუშას ამ შემოქმედებაში. მართალია მუშა აქაც საჭიროა, მაგრამ ყველა დახარჯული ენე-

რგიის ჯამში მუშის ენერგიას უჭირავს ძალიან მცირე ადგილი.

ეინ იცის, რამდენი მიუღონი ფუთი საქონელი გადადის და გადმოდის დედამიწის ზურგზე ყოველ დღე. მაგრამ ყველა ამ სიმძიმეს მუშა კი არ მიათხევს თავის ზურგით, ეს სიმძიმე გადააქვს და გადმოაქვს მატარებელს. გემებს, პატარებებს.. მუშის როლი შედარებით აქ ძალიან მცირეა.

რა პეტება სახოფლო მეურნეობაში? მუშა კი არა, პირუტყვიც კი—ცხენი თუ ჩარ-კამბეგი—თანდათან პთავისუფლდება მძიმე და ძნელი მუშაობისაგან. მათ ადგილს იჭერს დამორჩილებული ბუნების ძალა. მაშინიშმი იჭრება სოფელში პტრიალებს და ჰქმნის სიმოდრეს ათვერ და ასჯერ უფრო მეტს, ვითრე ეს იყო დღემდე.

ეკონომიკურად ალტრიცხველი მნიშვნელობა აქვს სიგრძის დაპყრობას. სისწრაფის მოპოვებას, რეინის გზას, ზღვაოსნობას, ავიაციას, ტელეტონს, რადიოს... ეინ ჩამოთვლის? რამდენია კიდევ გასაოცარი დაპყრობანი ჩაცის გონების? ეინ იცის კიდევ სვალ რა მოხდება? იქნებ ქიმიამ მიაღწიოს იქამდე, რომ მოგვცეს ბრომად და ადვილად საკეცი მასალა, იქნებ გამოიყვანონ სითბო ეკვატორიალურ ქვეყნებიდან და მოპტიკონ იგი გაცივებულ ქვეყნებს, იქნებ გახსნან ატომი და იქიდან, როგორც ირწმუნება ენშტეინი, მივიღოთ აუარებელი ენერგია, რომელიც დააკმაყოფილებს ბევრს ჩვენს საჭიროებას და იხსნის თეოთურ მუშას ყოველი ძნელი და მძიმე მუშაობისაგან.

ერთი ცხადია: მუშა არ არის ერთად ერთი შემომქმედი სიმდიდრისა. ამ სფეროში შეუდარებლად უფრო მეტი სამსახური მიუძღვის გონებრივ ენერგიას — მეცნიერებას, ცოდნას, ტეხნიკას.

თუ ეს ასეა, რას ემყარება იდეა კლასთა ბრძოლის და პროლეტარიატის ღიქტატურისა? არაფერს. იმას ენგრევა ერთიანად მისი იდეოლოგიური საფუძველი. პრჩება მხოლოდ დემაგოგიური ლოსუნგი. რომელიც კიდევ ალელვებს უმეცარ და პრიმიტიულ ხალხს, ლენინმა ამით კარგათ ისარგებლა და გადააგდო კიდეც უფსკრულში მთვლი რუსეთი. ასეთია ლოლიკური დასკვნა მატერიალის(ური) შეხედულების:

სოციალიზმი ადამიანში აფასებს მუშას,  
 ჩვენ მუშაში ვაფასებთ ადამიანს.

• • •

მატერიალიზმს აქვს თავის ლოდიკა. თუ ქვეყანა მატერიაა და ადამიანი აქ გამონაცელისი არ არის, ცხადია, ადამიანიც მატერიაა და მას უნდა მოვეპტრათ ისე, როგორც მატერიას. სოციალისტურ რუსეთში სწორედ აგრე იქცევიან. იქ ადამიანს უურებენ, როგორც მასალას. თუ გამოსადევია მასალა, კარგი, იმას მოიხმარებენ, ან და გამოიყენებენ. სწორედ ისე, როგორც ქვას ან აგურს რაიმე შენობისათვის. თუ ის გამოსადევი არ არის, მაშინ «გამყავთ ანგარშში» ე. ი. პირდაპირ ჰქოცავენ.

სხვაა ჩვენი შეხედულება. ჩვენთვის ყოველი ადამიანი მატარებელია იმ უდიდესი საიდუმლოების. რომელსაც პევიან შეგნება ან შეგნებული ნებისყოფა. სინიდისი, სამართალი, ძმობა, სიყვარული, ყოველი იდეა, რომელიც ამდიდრებს, აფერადებს და ამაღლებს ცხოვრებას,—სულ ეს არის აშუქება ადამიანის შეგნებისა. იმას ჩვენ ვერ წავმოით და «ანგარიშში ვერ გავიყვანთ». პირიქით, იმას ჩვენ ვუვლით,

მის წინ მუხლს ვიყრით და ვტრილობთ ჩავაყენოთ იგი ისეთ პირობებში, რომ მისი აშექება იყოს უფრო ბრწყინვალე, უფრო ძლიერი, ვინაიდან მხოლოდ იმაშია ანრი და გამართლება არსებობისა. ამიტომ ადამიანი ჩვენთვის არის არა ქვა ან აგური, არა მატერიალი, არამედ არსება «საღმრთო და ხელუხლებელი»: ის უნდა იყოს თავისუფალი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსაზღვრო თავისუფლება შეუძლებელია. იმას აქვს თავისი ფარგალი. გასწიოთ ეს ფარგალი ბოლომდე და თქვენ მიიღებთ ანარქიას; ან შეავიწროეთ იგი ბოლომდე და თქვენ მიიღებთ დიქტატურას. ჩვენ არ გვინდა არც ერთი და არც მეორე. ჩვენ გვინდა მაქსიმუმი თავისუფლებისა, შესაძლებელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ეს არის უფლება.

სოციალისტები მოითხოვენ დიქტატურას ე. ი. აუქსებენ უფლებასაც და თავისუფლებასაც. აგრე მოხდარუსეთში.

• • •

თავისუფლების იდეასთან მჴიდროთ შეკავშირებულია პრინციპი კერძო საკუთრებისა.

ტიერი ამტკიცებდა: «კერძო საკუთრება არის გაგძელება პიროვნებისათ». ეს არ არის მართალი, მაგრამ ახლოა სიმართლესთან.

თავისუფლება არის იდეა, რაღაც განცენებული ლვთაება, რომელიც თითქა დასრიალებს ცაში და მიწას არ ეკარება. რომ ის ჩამოვიდეს ციდან და დაღგას ფეხი საღმე იმ მორევში ან ტალღათა სრბოლაში, რომელსაც პქვიან საზოგადოებრივი ცხოვრება, მან უნდა იპოვოს რაიმე კუნძული, რა-

იმე მატერიალური საგანი, თუნდაც პატარა ნაფოტიც, რომ დაღვას იმას ფეხი. ასეთი კუნძულია ან ნაფოტი კერძო საკუთრება.

ჩემი ტანისამოსი ჩემია: ის მიღარავს სიცივისაგან. მცი-  
ვა თუ არა, ეს სხვამკი არ უნდა მითხრას, ამას მე ვვრჩხობ-  
და მე მეკითხება. ამიტომ ტანისამოსიც უნდა იყოს ჩემს გან-  
კარგულებაში,—ის ჩემი კერძო საკუთრებაა.

ჩემი ბინა ჩემია: იქ ვისვენებ, იქ მძინავს, იქ ვერთობი  
ან ვმუშაობ. მოსვენება, ძილი, ვართობა თუ მუშაობა, სუ-  
ეს ჩემი საქმეა, სულ ეს სხვადასხვა ფორმაა ჩემი თავისუფ-  
ლებისა. ამიტომ ჩემი ბინა უნდა იყოს მხოლოდ ჩემს განკარ-  
გულებაში.

იგივე ითქმის ყოველ შოომაზე, ტიზიკუია ის თუ ვონებ-  
რივი, და ყოველ ლირებულებაზე, რომელიც შედეგია ამ  
შრომის და შემოქმედებისა. მიწა, სახლი, ქული, საზოგადოთ  
ყოველი ქონება. არის მატერიალური სუბსტრატი პიროვ-  
ნული თავისუფლების. ჩამოართვით ყველმდერი ეს ადამიანს  
და ის იქნება საცოდავი მონა. რომლის არსებობაც კი აღმოჩ-  
ნდება სახითათვა პირობებში. იდეოლოგიური გამართლება  
კერძო საკუთრების ჰდევს თვით თავისუფლების იდეაში. ამი-  
ტომ საკუთრების განსაზღვრაც იგივეა, რაც საზოგადოთ უფ-  
ლებისა. თუ უფლება არის მაქსიმუმი თავისუფლებისა, შესა-  
ძლებელი საგოვადოებრივ ცხოვრებაში. კერძო საკუთრებაც  
არის იგივე მაქსიმუმი—ქონების შექმნაში. შეძენაში და მოხ-  
მარებაში.

სოციალისტები კი ებრძეიან კერძო საკუთრებას. მარქ-  
სი ამბობდა, რომ «ემანსიპაცია ადამიანის მონდება მაშინ,  
როცა იგი ხელს აიღებს პიროვნულ ეგოიზმს და შეუერთ-  
დება სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ ძალას».

შეიძლება მარჩხი მართალი იყო, თუ ეს «ხელის აღმა ეგოიზმშე» და ეს «შეერთება სახელმწიფოს პოლიტიკურ ძალასთან» თეოთვე არის აქტი თავისუფლებისა. თუ მე ჩემის ნებით ავიღებ ხელს ჩემს ეგოიზმშე და ჩემის ნებით შეუერთდები სახელმწიფოს პოლიტიკურ ძალას, აյ სათაკილო არა-თერია. მაგრამ რუსეთში ეს სულ სხვანაირად გაიგეს. იქ ძალად შემოუერთეს ყველაფერი «სახელმწიფოს პოლიტიკურ ძალას». გამოვიდა კონფისკაცია ქონებისა და მონოპოლია ვაჭრობის. მჩერწველობის და მეურნეობის. ერთია პატრიონი — სახელმწიფო, ერთია მოპასუხე — სახელმწიფო, ერთია მოსა-მართლე — სახელმწიფო. ადამიანი განწირულია, იმას არ აქვს გასასანი, იგი მონაა სახელმწიფოსი.

• • •

იდეა თავისუფლების და პრინციპი კერძო საკუთრებისა უცრო შორსა სცემს, ვიზრე ეს ბევრსა ჰვონია. საერთაშორისო ცხადებაში პირველის ეკვივალენტია ერთ-ვნეული სუვერენობა. მეორესი — ტერიტორიალური მთლიანობა.

ქვეყნიერებაზე გადაღის აუწონარი ძალა, რომელიც აყალიბებს კაცებრიობას ეროვნულ ფორმებში. ასეთი ძალაა: ენა, სარწმუნოება, პოეზია, მუზიკა, ოცნება და გადმოცემანი. ყველაფერი ეს პერიოდის ერთნაირ შეგნებას. ქართველი გრძნობს თავის თავს ქართველად, სადაც რომ არ იყოს იგი, ახლა თუ შორს: რუსი — რუსად ფრანგი — ფრანგად. მთლიანობა შეგნების პერიოდის ეროვნულ მთლიანობას და ერიც გამოისი ისტორიულ ასპარეზე, როგორც საერთაშორისო პიროვნება. რა-

საკუთრებულია, პირველად ეს შეგნება ბუნდოვანია, უფრო ინ-  
 სტინქტიცური, შემდეგ ის პხდება უფრო შეცნობილი და მი-  
 ზან-შეწონილი. ერთ იბრძვის, რომ განამტკიცოს თავის პი-  
 როვნება და მოიპოვოს მაქსიმუმი თავისუფლებისა, ე. ი. გა-  
 ნდეს სუვერენული სახელმწიფო.

მაგრამ როგორც ვსთქვით, თავისუფლება ის ლეთაებაა,  
 რომელიც ვერ ჩამოდის ციდან, თუ არ აქვს ცხოვრების ოქა-  
 ნები ფეხის დასადგმელი კუნძული. ეს კუნძულია—ტერიტო-  
 რია. ერთ ამას ყოველთვის პგრძნობდა ინსტიკტიურად და  
 თავგანწირულად იცავდა ყოველთვის თავის მიწა-წყალს. ეს-  
 ლა ეს დაცვა უფრო შეგნებულია და მიზან-შეწონილი. სამხე-  
 დრო სამსახური უფელგან სავალდებულოა. ჯარში თავს  
 იყრის ახალგაზრდა მოღვარი, მთელი ჯანი და ყვავილი ეროვ-  
 ნული ცხოვრებისა. ამ ჯარის დანიშნულება ერთია: დაცვა  
 ტერიტორიის მთლიანობისა. ეს გასაგებია, ვინაიდან თუ ტე-  
 რიტორია არ არის, არ არის ეროვნული თავისუფლებაც,  
 არ არის სუვერენული სახელმწიფო.

როგორ უცარებს სოციალიზმი ამ ძირითად საკითხს?  
 სოციალიზმის დამართა ის, რაც ემართება ხოლმე ყოველ  
 დიდ რელიგიას—ქრისტიანობას, მთსულმანობას და სხვას.  
 იკი დაიყო სხვადასხვა მიმართულებად. ყველა მიმართულე-  
 ბას აქვს ერთი ძირი—მატერიალისტური იდეალოგია, და  
 ერთი მიზანი—სოციალისტურად გარდაქმნა საზოგადოებრივ  
 ცხოვრებისა. მაგრამ მათი გზები სხვადასხვაა.. ეს გზები ისე  
 დაშორდა ერთმანეთს, რომ თვით სოციალისტურ მოძრაო-  
 ბაში შეიქნა სხვადასხვა ბანაკი, ხშირად მოსისხლე მტრად  
 გადაქცეული ერთი მეორისაღმი. ლენინი ამტკიცებდა, რომ  
 ეროვნებათ შეიძლება მიეცეს თავისუფლება მხოლოდ იმდე-  
 ნათ, რამდენადაც ეს ხელს არ შეუშლის პროლეტარიატის



გამარჯვებას ე. ი. შუა ჰყოფდა ეროვნულ შეგნებას, რომ  
ამით უფრო ადვილად განხეორციელებია თავის იმპერიალი-  
სტური ზრაბვანი. ხოლო სხვა უფრო განათლებული ნაწილი  
სოციალისტური აზროვნებისა ამტკიცებს, რომ ეროვნული  
თავისუფლება აუცილებელი წინასაწარი პირობაა თეოთ სო-  
ციალიზმის გამარჯვებისა. მართალია, ეს მიმართულება სო-  
ციალისტურ იდეალებით ამართლებს ეროვნულ თავისუფლე-  
ბას. მაგრამ ჩვენ რა? ჩვენთვის განა სულ ერთი არ არის, რა  
ქარი დაუბერავს ჩვენს აფრას და იალქანს, ოლონდ გავიდეთ  
ნაპირას—მივახწიოთ საქართველოს განთავისუფლებას.

..

კლემანსო ამბობდა საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე: «ეს რევოლუცია უნდა მიეიღოთ მთლიანად, en bloc, ვინაი-  
დან ამ რევოლუციაში იშვა ეხლანდელი სატრანგეთი; ანდა  
უნდა უარი ვყოთ მთლიანად და მით წაეშალოთ მთელი ჩვენი  
ისტორიას». ეს სიტუა მეტად საგულისხმოა, ის სავსებით  
უდგება საქართველოს.

საქართველოში მოპხდა რევოლუცია: იმას გადაეწინა  
ეროვნული ძალებიც და ამ გარემოებამ უფრო ლრმა და მდი-  
დარი ჰყო თეოთ რევოლუციის შინაარსი. საქართველო მო-  
პწიდა რუსეთს, გაპწინდა ნაშთი დრომრკმული წყობილების  
და შეუდგა ახალი ცხოვრების ავებას: გამოაცხადა სუვერე-  
ნობა ქართველი ერის და მომავალ განვითარებას საფუძვლად  
ჩაუყარა ურყევი პრინციპი პიროვნული თავისუფლების და  
კერძო საკუთრებისა. საქართველოს კონსტიტუცია წმინდად  
დემოკრატიულია.

ჩვენც ეს რევოლიუცია უნდა მივიღოთ მთლიანად, en bloc, ვინაიდან მაში იშვა ახალი საქართველო და მაში აღი-  
ბეჭდა გზები მომავალი განვითარებისა; ანდა უნდა უარი  
ვყოთ მთლიანად და წავშალოთ მთელი სახელოვანი პერიოდი  
ჩეენი ისტორიისა, სავსე ტრაგიკული განცდით და მაღალი  
იდეალებით.

გილობრივი გვანსავა.



F 21. 922  
2

